პროლეტარიელ ყველა ქვეყანათა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატთა საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 28 მაისი, 1946 წ. № 106 (7579). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საყოველთაო სახალხო ბრძოლა ახალი ხუთწლედის წარმატებისათვის. „პრავდის“ მოწოდება (1-ლი გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება საბჭოთა საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის თათბირის შედეგთა შესახებ საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისადმი (1-ლი და მე-2 გვერდი).

ი. ბ. სტალინმა მიიღო იუგოსლავიის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინმა მიიღო ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი კეტერსონი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კომუნიკე (მე-3 გვერდი).

მოვაჯადოთ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა ნორმა, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ახალი ცხელხეირიანი ხუთწლედის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის (მე-3 გვერდი).

საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის ყველა მუშაკს (მე-3 გვერდი).

მთავარ გენერალურ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

საყოველთაო სახალხო ბრძოლა ახალი ხუთწლედის წარმატებისათვის

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს ჩრდილოეთ-დონეცის რკინიგზის კოლეტივის მიმართვას ჩვენი ქვეყნის ყველა რკინიგზელთადმი მოწოდებით—ჩაებან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სამჭოთა რკინიგზელების არია იწყებს ჩვენი ხალხის დიდ შრომითს ღაშრობას და აღფრთოვანებთ ებმება დიად სამშობლოთა სტალინური გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

რკინიგზები — ჩვენი სახელმწიფოს სისხლგამტარი არტერიებია. მათი ეკონომიური და თავდაცვითი მნიშვნელობა, მათი პირველხარისხოვანი როლი ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ამომწურავი სისტემით განსაზღვრეს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლებმა ლენინმა და სტალინმა. „არსებობა და განვითარება ჩვენი სახელმწიფოსი, რომელიც თავისი სიდიდით სჭარობს მსოფლიოს თვითეულ სახელმწიფოს, —გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — წარმოიდგინეთ, თუ მოწესრიგებული არ იქნება რკინიგზის ტრანსპორტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ორგანიზმს ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ერთიულად“.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის მეოხებით ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი ხელს უწყობდა ქვეყნის საფრონტო ძალთა ძლიერ ზრდას. ომის წლებში საბჭოთა რკინიგზელები მეგრძოლურად აორმეკედნენ თავს ე

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის თათბირის შედეგთა შესახებ

საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისადმი

(დასასრული)

რომ სასარგებლოა სავაჭრო და სხვა შეზღუდვათა გაუქმება, აგრეთვე. მოსაზრებანი ეცნოთოის კაპიტალისათვის, მოქმედების თავისუფლების მინიშნების შესახებ და სხვ. მეორე მხრივ, საბჭოთა დელეგაციის არ შეეძლო უგულებელყოო ყოფილ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები, რომლებიც ახლა დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიური აღორძინების გზას დაადგნენ, — რამდენადაც საბჭოთა კავშირი მხარს ვერ დაუჭერს რომელიმე სახელმწიფოს მისწრაფებას სხვა ქვეყნების ეკონომიური დამონებისადმი, თუნდაც ეს ქვეყნები ომის პირველ წლებში მტრის მხარეზეც ყოფილიყვნენ. მართლაც, შეუძლებელია იტალია ან რომელიმე სხვა მსგავსი სახელმწიფო მივიჩნიოთ რაღაც კოლონიად, სადაც მოოკუპირებელი სახელმწიფოები ითარეშებდნენ თავიანთი მიზეფლებით, ანგარიშს არ გაუწევდნენ ამ სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებს.

დიდი ყურადღება დაეთმო შეერთებული შტატების, ინგლისის, სსრ კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან იტალიაში „სახელმწიფოებრივ კომისიის“ შექმნის საკითხს. ამერიკის პროექტის მიხედვით, „სახელმწიფოებრივ კომისია“ 18 თვის მანძილზე ზაეის დადების შემდეგ უნდა ასრულებდეს ისეთ ფუნქციებს, რომლებსაც მას დაავალებს სანაგო ხელშეკრულება სხვადასხვა სამხედრო საკითხების, რეპარაციების, რესტიტუციების, სამხედრო დამნაშავეების და სხვათა მიმართ. ამასთან მოითხოვენენ, რომ კომისიას ჰქონოდა როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო რწმენებანი, ესე-იგი ჰქონოდა განსაკუთრებით ფართო უფლებანი ეცხო დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მისი მეტისმეტად ფართო რწმენებანი საწინააღმდეგო იქნებოდა იტალიის სახელმწიფოო სუვერენიტეტისა, რომელსაც (იტალიას) საზაფო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გზა უნდა მისცემოდა გაერთიანებული ერების რიგებში შესასვლელად. საბჭოთა დელეგაცია სთელდა, რომ როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო რწმენებათა მქონე კომისიის შექმნა იქნებოდა იტალიისათვის რაღაც კაპიტულაციის რეჟიმის მსგავსი, რაც სრულებით არ შეესაბამება იტალიის სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს. ჩვენ აგრეთვე აღენიშნავდით, რომ ასეთი კომისიის შექმნა ეწინააღმდეგება წინადადებას დროებითი ზავის იმ პირობების შემსუბუქების შესახებ, რომლებსე ხელმოწერილ იქნა პარიზში. შეთანხმების მიღწევა ამ საკითხზე ვერ მოხერხდა. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომი დაფიქრება დაარწმუნებს ამ წინადადების ავტორებს, რომ მიზანშეუწონელია „სახელმწიფოებრივ კომისიის“ შექმნის დაკენებით მოთხოვნა.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის დელეგაციის ინიციატივით თათბირზე განხილულ იქნა აგრეთვე **გერმანის საკითხი.** საფრანგეთი კვლავ მოითხოვდა გერმანიისაგან რურის, რაინის და საარის ოლქების ჩამოშორებას, მაგრამ პარიზის სესიაზე ამ საკითხის განხილვა ფართოდ არ გაშლილა. მეორე მხრივ, ამერიკის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება, რომ განხილული ყოფილიყო პროექტი შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულებისა და გერმანიის 25 წლის ვადით განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ სენატორ ვანდენბერგის ცნობილ წინადადებათა საფუძველზე. ამასთან ბ-ნ ბირნსმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, მოსკოვში ყოფნის დროს, იგი შეეკითხა სტალინს, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ასეთი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობისადმი და მისგან ამის შესახებ პრინციპული თანხმობა მიიღო. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთო, რომ ბ-ნი ბირნსი აქ ერთგვარ არასაზუსტეს იჩენს, ვინაიდან ეს ლაპარაკები ბ-ნ ბირნსს ჯერ კიდევ არ ჰქონია ასეთი ხელშეკრულების პროექტი და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა სტალინის „თანხმობას“ არარსებულ ხელშეკრულებაზე, და მაშინ საქმე ამიოწერა თვალსაზრისთა მხოლოდ მოკლე გაცვლა-გამოცვლით **ურთიერთდახმარების** ხელშეკრულების იდეის შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ განახლდება **გერმანიის ან იაპონის აგრესია.** ბ-ნ ბირნსის მიერ უფრო გვიან წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი გამორიცხავს გერმანიისა და იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების საკითხს. მასში ლაპარაკია მხოლოდ განიარაღების შესახებ და რატომღაც არაფერია ნათქვამი გერმანიის მიმართ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოკავშირეებმა თეირანსა, იალტასა და ბერლინში მიიღეს, და მას შეეძლია შეაფუთოს გერმანიის აგრესიის აღორძინების დაშვებლობისაკენ მიმართული სამოკავშირეთაშორისო კონტროლი, მაშინ რიდესაც ასეთი კონტროლის შესრულება, რა თქმა უნდა, სრულიად შეუწყარებელია. საბჭოთა დელეგაციამ აზრი გამოსთქვა, რომ ხელშეკრულების პროექტი წინასწარ იქნას შესწავლილი სათანადო მთავრობების მიერ და ნაჩქარევად არ იქნას მიღებული გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულების შესახებ. მით უმეტეს, რომ ბ-ნმა ბირნსმა განმარტა, რომ ამ ხელშეკრულებას ძალა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელმოწერილ იქნება საზაფო ხელშეკრულება გერმანიასთან. ხოლო გერმანიაში, როგორც ცნობილია, ჯერ ჩანაასახიც კი არ არის მთავრობისა, რომელთანაც შეიძლებოდეს საზაფო ხელშეკრულების დადება. ეი რატომ იყო, რომ საბჭოთა დელეგაციამ სხვა წინადადება წამოაყენა. მან აღნიშნა, რომ ვიფიქრ დაიწყებოდეს ლაპარაკი ახალ ხელშეკრულებაზე გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ, საკითხია შემოწმებულ იქნას, თუ როგორ შესრულდა მოკავშირეთა უწინდელი გადაწყვეტილებანი გერმანიის განიარაღების ჩატარებაზე. ბოლოს და ბოლოს, სწორად ეს წინადადება იქნა მიღებული. და ახლა საკონტროლო საბჭო გერმანიაში განიხილავს ისეთი კომისიის შექმნის პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომელიც გერმანიის ოკუპაციის ყველა ზონაში შეამოწმებდა, თუ სინამდვილეში სახელდობრ როგორ ჩატარდა გერმანიის შეიარაღებული ძალების განიარაღება გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ განვლილი წლის მანძილზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემოწმება ხელს შეუწყობს გერმანიის კაპიტულაციის პირობების ზუსტად შესრულებას და შემდგომ ლონისძიებათა შემუშავებას ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

პარიზის თათბირი ისა-ის იყო უნდა დაწყიდულიყო, რომ ბ-ნმა ბირნსმა შეიტანა კიდევ ერთი პროექტი, — ამჯერად შტანნინ იქნა პროექტი მიმდინარე წლის დეკემბერში მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევის შესახებ გერმანიასთან საზაფო ხელშეკრულების განსახილველად. ეს წინადადება მით უმეტეს მოულოდნელი იყო, რომ მანამდე არც ბ-ნ ბირნსს და არც სხვა ვინმეს არ შეუტანია არაეთიარი წინადადება ამ ყველა საზაფო ხელშეკრულების საკითხზე, თუ ალარას ეიტყვით იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს გერმანიის რაიმე მთავრობა, რომელთანაც შეიძლებოდეს საზაფო ხელშეკრულების დადება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაეიხსენოთ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ი. ბ. სტალინმა ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში კონფერენციაზე შეიტანა წინადადება რაიმე ცენტრალური საერთო-გერმანული ადმინისტრაციის შექმნის შესახებ. ბერლინის კონფერენციის ‘სხვა მონაწილეებმა მაშინ აზრი გამოსთქვეს ამ საკითხის განხილვის წინააღმდეგ. მას შემდეგ ეს საკითხი არავის დაუყენებია. ასეთი ვითარების დროს ბუნებრივია, რომ ბ-ნ ბირნსსის წინადადება გერმანიასთან საზაფო ხელშეკრულების განსახილველად კონფერენციის მოწვევის შესახებ არ შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო პარიზის თათბირზე. ეს საკითხიც, რასაკვირველია, არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას ნაჩქარევად.

რას მოწმობენ პარიზის თათბირის შედეგები?

თათბირის შედეგები გვიჩვენებენ, რომ პირველი ხუთი საზაფო ხელშეკრულების პროექტია განხილულსა თავი ინია ერთიანურად უთანხმობამ მთავრობებს შორის, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ამ ხელშეკრულებათა მომზადებისათვის. ამასთან ცხადი გახდა, რომ რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზაფო ხელშეკრულებათა პროექტებში, სადაც მთავრი პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირს აკისრია, დარჩა აზრთა მხოლოდ ერთგვარი სხვადასხვაობა, რომელიც არ უნდა გავაზვიადოთ, ხოლო იტალიასთან საზაფო ხელშეკრულების პროექტში, სადაც მთავარი პასუხისმგებლობა დიდ ბრიტანეთსა და აშერიკის შეერთებულ შტატებს აკისრია, დარჩა მთელი რიგი დიდი მნიშვნელობის შეუთანხმებელი საკითხები. ამ შემთხვევაშიც საბჭოთა კავშირმა მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა საერთო შეთანხმების მისაღწევად. შესაძლოა, რომ ეს, ბოლოს და ბოლოს, გაადვილებს ასეთი შეთანხმების მიღწევას ამ პროექტზეც.

პარიზის თათბირმა დაგვანახვა, რომ არის სრულიად არასასურველი ტენდენციებიც საზაფო ხელშეკრულებათა მომზადების დროს. გამოირკვა, რომ ამერიკის ზოგიერთ წრეში გამოცხადებული ეგრეთწოდებული „შტატეა შშიდობისათვის“ ზოგჯერ გამოიხატება სურვილით თავს მოიხვიონ ორი მთავრობის ნება მესამე სახელმწიფოს მთავრობის. ასე მოხდა, მაგალითად, ყოფილი იტალიის კოლონიების ბედის საკითხის გადაჭრისას, რომელშიც საბჭოთა კავშირმა სავსებით უარი სთქვა თავის პრეტენზიებზე, და მაინც ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციებმა, რომლებიც ბლოკად შეეკრნენ ერთმანეთს, შესაძლებლობა არ მოგვეცეს მოგვეღო შეთანხმებული გადაწყვეტილება. იტალიისგან რეპარაციების მიღების საკითხში კვლავ შეეხვდით ინგლის-ამერიკის ბლოკს, რომელიც აქაც ეწერდა არა „შტატეს შშიდობისათვის“, არამედ შეტეეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციებმა, რომლებმაც ბლოკი შეკრეს სურვილით თავს მოეხვიონ საბჭოთა კავშირისათვის თავიანთი ნება, არ მოისურვეს ანგარიში გაეწიათ საბჭოთა კავშირის უაღრესად კანონიერი სურვილებისათვის და ჩაშალეს შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა რეპარაციის საკითხშიც.

პარიზის თათბირმა ამასთან ერთად გვიჩვენა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ცდა, თავს მოეხვია თავისი ნება სხვა სახელმწიფოსათვის, ბუნებრივ წინააღმდეგობას იწვევდა. არც ერთი მოკავშირე სახელმწიფო, რომელიც პატივსა სცემს თავის თავს, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს, რომ მას თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა სახელმწიფოს. სწორედ ასეთ სახელმწიფოებს ეკუთვნის საბჭოთა კავშირი, რომელსაც, მეორე მხრივ, საკმაოდ ცხადყო თავისი მისწრაფება სხვა ქვეყნებთან შეთანხმებული მოქმედებისადმი როგორც ომის დროს—მოკავშირეთა გამარჯვების ინტერესებისათვის, ისე ომის შემდეგ — ზალთა მტაცე მშიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ზოგჯერ ამბობენ, რომ ძნელია ზეკარის გაკეთება უშიშროებისადმი მისწრაფებისა და ექსპანსიისადმი მისწრაფებას შორის. მართლაც, ზოგჯერ ეს მეტად ძნელია. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების რა ინტერესებთან არის ნაკარნახევი სამხედრო ბაზების მოთხოვნა კუნძულ ისლანდიაზე? ცხადია, რომ საქმე აქ სრულიადაც არ ეხება შეერთებულ შტატების უშიშროების უზრუნველყოფას, არამედ სულ სხვაგვარ მისწრაფებებს. მსოფლიო პრესა სავსეა ცნობებით ამის შესახებ, რომ ზოგიერთი წრეები შეერთებულ შტატებში, რომლებიც ბლოკს ჰქმნიან თავიანთ მეგობრებთან დიე ბრიტანეთში, ცდილობენ შეაჭმანონ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საავიაციო ბაზები დედამიწის ყველა ნაწილში—წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების კუნძულებზე, დასავლეთი და აღმოსავლეთი ნახევარსფეროების სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. ზოგიერთ კვეყანაში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ბატონობის მქადაგებელმა ტყუილად როდი მოიპოვეს ახლა დიდი გავლენა, არ ეჩიდებიან სენატორისა და დეპუტატის ოფიციალურ მდგომარეობას და გაკაკიეთ თავიანთ ეფსპანსიონისტურ გეგმებზე, აქეზებენ ახალი აგრესიული ომებისათვის და ქარაფშუტულად არ უწევენ ანგარიშს ინტერნაციონალისტური გერმანიის ან მსოფლიო ბატონობის ეგზეშენის უსახელო კრახის გაკეთებილებს. მომავალი ახლა ამ ეაებატონთა მხარეზე კი არა, არამედ იმ ხალხთა მხარეზეა, რომლებიც, როგორც საბჭოთა კავშირი, ესწრაფვიან ზალვიანი მშიდობის და თავიანთი უშიშროების, ინტერესებს უკავშირებენ სხვა მშიდობისმოყვარე ხალხთა უშიშროების ინტერესებს. ზოგიერთი, ძლიერი სახელმწიფოს მისწრაფება თავს მოიგონოს თავისი ნება სხვა ხალხებს შეეფდომშიც ეჭნება, მაგრამ საბჭოთა კავშირის მიმართ, როგორც წინათ, ისე მომავალშიც, ეს ცდა განწირულია ჩაშფუშავად. მხოლოდ მისწრაფება მეგობრული თანამშრომლობისაკენ, სადაც არ არის სხვა სახელმწიფოსათვის ერთი სახელმწიფოს ან ორი სხვა სახელმწიფოს ნების თავს მოხვევა, შეიძლება გახდეს საბჭოთა სახელმწიფოს და სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარების სიმედო საფუძველი. შეიძლება ეჭვი არ შეეიტანთ იმაში, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ეს პრინციპები სულ უფრო მეტ აღიარებას ჰპოვებენ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

როგორც ცნობილია, ომის დროს, გამომეფშავდა მოკავშირეთა შორის შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღების გარკვეული წესი. თეირანსა, იალტასა და ბერლინის კონფერენციებზე, ისე როგორც მოსკოვის 1943 წლის კონფერენციაზე, მიღებულ იქნა შეთანხმებული ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს გადაწყვეტილებანი მიღებული იყვნენ არა ერთი მთავრობის ნების მეორე მთავრობისათვის თავს მოხვევის წესით, არამედ მეგობრული თანხმობისა და ურთიერთგაგების წესით. თანამშრომლობის ამ მეთოდმა დადებითი შედეგები მოგვცა. ახლა ზოგიერთ წრეში არსებობს მისწრაფება დაარღვიონ ეს წესი. მიმართავენ სულ ახალ-ახალ ცდას—იმოქმედონ მეშაობის ამ მეთოდის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ვაამპილო თავისი თავი. პარიზის კონფერენციაზე შემოტანილი იყო წინადადება არ ველოდოთ იმ თანამშრომლობა შორის საზაფო ხელშეკრულებათა პროექტების შეთანხმებას, რომლებსაც ამ პროექტების მომზადება იკისრეს. წინადადება იყო შემოტანილი შეუთანხმებელი პროექტები პირდაპირ გადასცემოდა განსახილველად 21 სახელმწიფოს წარმომადგენელთა საზაფო კონფერენციას და იქ განიიეტებულიყო დავა და ბრძოლა. საბჭოთა დელეგაციამ უარსყო ეს ცდები, რომლებიც არღვევენენ მოკავშირეთა ერთობლივი მუშაობის დამკვიდრებულ პრინციპს. პარიზის კონფერენციის შემდეგ ბ-ნმა ბირნსმა წამოაყენა ახალი გეგმა, რომელიც უფრო შორს მიდის. წამოყენებულია წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსახილველად გადაეცეს საზაფო ხელშეკრულებათა პროექტები, რომლებზეც მიღწეულ არ იქნება შეთანხმება, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციას დამოკიდებულება არა აქვს საზაფო ხელშეკრულებათა საკითხებთან. ეკ არის კიდევ ერთი ცდა—დაარღვიონ უკანასკნელ წლებში დამყარებული შეთანხმებულ მუშაობის წესრიგი და გამოიყენონ ზეგანელნის, მუქარისა და დაშინების მეთოდები. ამ დაშინების უსაფუძვლოა საბჭოთა კავშირის მიმართ ცხადია და უკვე ბევრჯერ იყო დაამტკიცებული. მაგრამ ასეთი ცდები მოწმობენენ ეცდოთოს ზოგიერთი წრის ძალიერ მისწრაფებებს დაარღვიონ ეკანონიერ ურთიერთობა ეროვნული ინტერესების საბჭოთა კავშირსა და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთობლივი მუშაობისა და შეეცადონ სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მიმართ გამოიყენონ მეთოდები, რომლებიც ეცხოთ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობისათვის. ცდები, ასეთი საქმეებში ჩაითრონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ყველასათვის უკვე ცნობილია. ასეთი რამეები შეიძლება გაკეთდეს, თუ ანგარიშს არ გაუწევენ რისკს სახელი გაეტეხონ გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს და გაეტაცებინ საერთაშორისო ორგანიზაციაში ხმების ახალ-ახალი კომბინაციების გამოყენებით. ამისი მაგალითები ჩვენ ამეამად გვაქვს, და არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ უშიშროების საბჭოს პრეზიდეი უკვე ჩაგრავდა სერიოზულ განსაცდელში.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ პირველ საზაფო ხელშეკრულებათა მომზადება უკვე წაადწია ბევრ სიძნელეებს. ეს სიძნელეები შემოხვევითი როდია. ეცხოთოის ზოგიერთ წრეებში არსებობს მისწრაფება ხელი აიღებინონ საერთაშორისო საქმეებში და მიერ სამართლიანად დაკავებულ სამპტონ ადგილზე საერთაშორისო საქმეებში და ზიანი მიაყენონ სსრ კავშირის საერთაშორისო პრესტიჟს. მაგრამ ასე მოქმედება შეუძლიათ მხოლოდ ბეკ, რეაქციელ წრეებს, რომლებიც განწირულნი არიან, რომ დამარცხდებიან. მათ ვერ შეუვნიათ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც გადაიტანა ფაშიზმის ტირანიისაგან კაცობრიობის ხსნისათვის ბრძოლის მთავარი სიმძიმე, ეკა სამართლიანად უკავია ისეთი მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც შეეფერება დიდი და ბატარა ქვეყნების თანასწორუფლებიანობის ინტერესებს მშიდობისა და უშიშროებისადმი მთის მისწრაფებაში. იცავს რა საბჭოთა კავშირის ეანონერ ინტერესებს და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან მეგობრული თანამშრომლობის პრინციპებს და ეწინააღმდეგება რა იმპერიალისტურ რეაქციელ ცდებს, საიდანაც უნდა გამომდინარეობდნენ ეს ცდები,—საბჭოთა კავშირი სავსებით დარწმუნებულია თავისი პოლიტიკის სისწორეში, რაც მიმართულია მშიდობის საქმისა და კაცობრიობის პროგრესის დაცვისაკენ.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობანი

პრეზიდენტ ბ-ნ ბერუთისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ე. ოსუბკა-მორავსკის მეთაურობით პოლონეთის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის შესახებ

23 მაისს მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონეთის რესპუბლიკის კრაიოვა რადა ნაროდოვაა პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი, პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი, პოლონეთის რეაპუბლიკის მარშალი მ. როლიკა-ჟიმერსკი, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირები.

საუბრებში, რომლებიც შესდგა, ერთი მხრივ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვს და, მეორე მხრივ, პოლონეთის მთავრობის დელეგაციის შორის, განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც ეხებიან საბჭოთა და პოლონეს ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაცა და განმტკიცებას.

ორივე მთავრობა შეთანხმდა ყოველგვარი ფინანსური ვალდებულების გაუქმების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა ომის დროს, პოლონეთის არმიის შეიარაღებასა და მომარაგებასთან დაკავშირებით, მათ შორის გენერალ სალინსკოს ყოფილი მთავრობის ვალდებულებათა, აგრეთვე იმ ვალდებულებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც წარმოიშვნენ ომის დროს ეროვნულ წოთელი არმიისთვის პოლონეთიდ მთავრობის მიწოდებებთან დაკავშირებით.

მანამდე, სანამ პოლონეთი შეუქმნიდეს საკუთარ მრეწველობას, რომელიც შეიარაღების საგნებს დამზადებს, სსრ კავშირის მთავრობამ იკისრა პოლონეთის არმია მომარაგება საჭირო

გოვაანწყოთ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ახალი სტალინური ხუთწლეულის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის

ჩრდილოეთ-დონეცის რკინიგზის ოპერატივის მიმართვა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკსა და მოსამსახურეს

ძვირფასო ამხანაგებო!

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა ჩვენი ბედნიერი და მაღმყვანელის ალბანელ სტალინის მითითებათა თანახმად შემუშავებულ სოციალისტური მშენებლობის დიად პროგრამას წარმოადგენს.

რკინიგზები მოწოდებული არიან უფადესი როლი შეასრულონ სოციალისტური ეკონომიკის ომისშემდგომ აღმავლობაში. მძიმე ინდუსტრიასთან ერთად რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება ახალი ხუთწლიანი გეგმის პირველი რიგის ამოცანაა.

ჩვენ, ჩრდილოეთ-დონეცის რკინიგზის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, სოციალისტურ შეჯიბრებაში ეიწევეთ სამხრეთ-დონეცის გზის რკინიგზელებს. მოწოდებით მივმართავთ ჩვენი კვეყნის ყველა რკინიგზელს მოამყონ სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, 1946 წლის—ახალი ხუთწლეულის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის!

დაე თვითეული გზისა და სადგურის, თვითეული საწარმოსა და მშენებლობის კოლეტივმა, დაე თვითეული ცალკეა ბრიგადამ, თვითეული რკინიგზელმა იკისროს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რათა თავდადებული შრომით თავისი წელილი შეიტანოს დიად საქმეთათვის სტალინური პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ჩვენი მაგისტრალის კოლეტივი ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას სტალინური ხუთწლეულის პირველი წლის გეგმის ვადაადე შესრულებისათვის.

1950 წლის საშუალო სადღეღამისო საერთო დატვირთვა უნდა აეიყვანონთ 8.670 ვაგონამდე და ქვანახშირის დატვირთვა 6.100 ვაგონამდე. ვალდებულებას ვისრულებთ ვადამდე მიაღწიოთ ამ ციფრს, ხოლო 1946 წლის დატვირთვის ვადაგ შეგასრულოთ 20 დეკემბრისათვის, აწევეთი რემონტიდან გეგმის გადამეტებით გამოვეშვათ 10 ორთქლმავალი, გარეცხეიდან 600 ორთქლმავალი და კაპიტალური, საშუალო და წლეური რემონტიდან 850 ვაგონი, სალიანდაგო სამეშაოთა გეგმა შეეასრულოთ 110 პროცენტით.

ნაკლარ ვალდებულებათა განხორციელებისათვის ჩვენ მოგვიგებდა მაქსიმალურად გამოეყენოთ შინა რეზერვები, უზრუნველყოთ მუშაობის ფალავ კულტურა, დავაჩქარეთ ვაგონებისა და ორთქლმავლების მბრუნავობა, აღმოეფხვრათ დატვირთვის უთანაბრობა დღე-ღამეთა, დეკადათა და თვეთა მანძილზე.

ამ ამოცანების განსახორციელებლად პირველი ნახევრი უკვე გადადგმულია. სადგურ ფოლანსკაიას რკინიგზელები და ტექნიკოსები „სვერდლოვსკაიას" ქვანახშირის მუშაკები გამოვიდნენ დღე-ღამის ვანმავლობაში თანაბარი ტვირთვის მუშაობისათვის შეჯიბრების ინიციატორებად და ამ საქმეში ფნიშეფრენა წარმატებებს მიაღწიეს. ჩვენ ფართოდ ვავრცელებთ ყველა დარგის სამსახურში მათს გამოცდილებას და ვალდებულებას ვისრულებთ ქვანახშირის ღამის დატვირთვა გზაზე წელსვე ავიყვანოთ გეგმის 40 პროცენტამდე, მოვაზღვიოთ ქვანახშირის დატვირთვის 65 პროცენტის მარშრუტიზაცია, დავალებასთან შედარებით 3 პროცენტით დავაჩქაროთ ვაგონების მიმოქცევა, გადავარჩინეთ ორ ეშელონი ტექნიკური სიჩქარის ნორმა. 25 სადგურში დაენერგოთ ერთიანი ტექნოლოგიური პროცესები, ზუსტად შეეასრულოთ მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი, დროულად მოვეზადოთ იმისათვის, რომ 1946-1947 წლის ზამთარში ჩვენი გზა თანაბრად და შეუფიცხებლად მუშაობდეს.

ჩვენ ვიცით, რომ საკმარისი არ არის გეგმის შესრულება, სჭირდება ენერგიულ შეეასრულოთ იგი, რისთვისაც რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ მუშახელი, გავატაროთ საწარმოო პროცესების ყოველმხრივი მექანიზაცია, მთლიანად ამოეგზეროთ ტექნიკას ყველფერი, რისი მოცემაც მას შეუძლია.

კუპიანსკის სარკოქლმავლო დეპოს კოლეტივის ინიციატივით ბაზზე მოწყობილია გამოგონებათა, რაციონალიზაციურ წინადადებათა და მუშების წინადადებათა შეგროვება ხუთშენლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. დეპოს ინჟინრები და ტექნიკოსები მხურვალედ ეტერენ მზარს ამ წინადადების და კუპიანსკელთა გამოცდილებას ავრცელებენ გზის საწარმოთა ყველა კოლეტივებზე.

ჩვენ ვალდებულებას ვიკისრებთ ეკონომიურად ეხმარებოდეთ ერთმანეთს ბრძოლა ეაწარმოოთ ხუთწლიანი გეგმა 1946 წლისა ადრე შეასრულოთ 115 პროცენტით, თვითოეულ ბრიგადა 120 პროცენტით, მეცხოველეობის განვითარება გეგმა—100 პროცენტით. სამეშაოთა ეფექტურობისა და დაჩქარეა მეურნეობების ნათესი ფართობი ავიყვანოთ 3.500 ჰექტარამდე და, ამრიგად, შეექმნათ დამატებითი წყაროები რკინიგზელთა მომარაგების გასაუმჯობესებლად.

წარსული ხუთწლეულის მანძილზე ჩრდილოეთ-დონეცის რკინიგზა გადაქცეული იყო ოთხგზის სამშობლოს ტანჯარის მოძრაობისა ტრანსპორტზე. აკ ვამოიზარდნენ ტრანსპორტზე სტაპანოველი ინჟინერ-ტექნიკოსები, ბრიგადა ბ. ბაბაევ, ბ. ბაბაევ, ბ. ბ. ბ.

მუშაკთ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

24 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 24 მაისი. (საკავშირო). ტრიბუნალის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებული შირახის დაკითხვა. თავი ის აფასებდა ხალხური ომიდან ბერლინის ოლქის ნაცისტური ლიდერის გეფშანიანის დეტალურ ჩვენებას. ეჩვენა, ეხმიანებოდა ნეიტრალურ ზონებს, ეხმიანებოდა ინგლისელ ოფიცრებს, ბრალდებულ ფონ ფრანკენშტეინ ეკონომს, ბრალდებულ ფონ ფუფენდორფ ეკონომს, ბ. ბაიერ ბ. ბ. ბ. ... ...